რას პირდება საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია მეთხილეებს და რას ითხოვს მათგან

ალიონი. თხილის კულტურის გადარჩენისა და მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონული სამმართველოსა და საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია ამთავრებენ სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს.

როგორც 3-4 მარტს, ანასეულისა და მაკვანეთის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ითქვა, თანადაფინასებით განხორციელდება სახელმწიფო პრ-ოექტები და დაინერგება ინოვაციები.

შეხვედრებზე ითქვა, რომ 15 მარტამდე ყველა სოფელში უნდა დამთავრდეს ფერმერთა ჯგუფების შექმნა, ხოლო მარტის ბოლოს დაიწყოს წამლობები. უნდა ჩატარდეს ხუთჯერადი წამლობა. თითოეული ჯგუფის პლანტაციის ჯამური ფართობი უნდა შეა-დგენდეს არანაკლებ 10 ჰექტარს. ასოციაციაში ფერმერთა გაწევრიანება ნებაყოფლობითია. სახელმწიფოს მიერ შეძენილ შესასხურებელ აპარატს ასოციაცია მოხმარებაში გადასცემს გაწევრიანებულ ფერმერებს, ერთ ჯგუფზე ერთი აპარატი. 200 ლიტრი ტევადობის აპარატი გორგოლაჭებიანია და ადვილად გადაადგილდება, აპარატზე დამონტაჟებულია 50 მეტრი სიგრძის მილი და შესასხურებელი მოწყობილობა. 1 ჰექტარი თხი-ლის მოვლა-პატრონობა ფერმერს 500-600 ლარი დაუჯდება

როგორც თხილის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **პაატა ლაგვილავამ** აღ-ნიშნა, მისი უწყების უკან დგას სახელგანთქმული იტალიური ფირმა „ფერერო“, რომელსაც ათ-ასობით ჰექტარი თხილის პლ-ანტაციები აქვს სამეგრელოში, სადაც შარშან ჩატარებული მოვლა-პატრონობის შედეგად, თხი-ლის მაღალი და ხარისხიანი მოსავალი მიიღეს. ლაგვილავას თქმით, წლეულს ოზურგეთში აშ-ენდება თხილის შესანახი საწყ-ობი, კომპანია პასუხისმგებელი იქ-ნება იმ ხარისხზე, რა ხარისხის თხილსაც ჩაბარებენ.

მანვე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ასოციაციის სერვისების მესიჯები:

- აგრო კონსულტანტის მომსახურება თითოეული ფერმერთა ჯგუფისათვის;

- თვეში 2 ჯერ ვიზ-იტი/ტრენინგი, ოპტიმალური წამლობის სქემების დაგეგმვა და შეთავაზება;

- მაღალი ეფექტურობის შესაწამლი აპარატებითა და უსაფრთხოების საშუალებებით უზრუნველყოფა (10 ჰა - 1 მაღალეფექტური შესაწამლი აპარატი 200 ლ);

- შეღავათები პრეპარატებზე ასოციაციის „ფერმერთა მომსახურების ცენტრებში“;

- ფინანსურ ინსტიტუტ-ებთან შუამდგომლობა (ბანკები, მიკროსაფინონსო ორგანიზაც-იები);

- ნიადაგის ნაყოფიერების მართვა და ანალიზებით უზრუნველყოფა;

- შეღავათები სერვისებზე ასოციაციის თხილის საშრობ და სასაწყობე ცენტრებში;

- სპეციალური „ფერმერის დღიურების“ გადაცემა;

- მოსავლის ხარისხის კონტროლი;

- მიღებული მაღალი ხარისხ-ის თხილის მოსავლის რეალიზაციაში დახმარება;

- ახალი ბაღების გაშენების შემთხვევაში დაგეგმარება და დარგვა თანამედროვე სტანდარტებით.

დასახელდა ფერმერთა მიერ აუცილებლად ჩასატარებელი ღონისძიებებიც:

- გასხვლა-ფორმირება და გამოხშირვა;

- სადრენაჟო არხების მოწყობა-მოწესრიგება (საჭიროების შემთხვევაში);

- მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, კომბინირებული წამლობა მაღალ ეფექტური შესაწამლი აპარატის გამოყენებით;

- მოსავლის აგროვადებში აღება, შრობა და დასაწყობება.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10304) 11 მარტი 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეგიონული ფილიალი გაიხსნა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა **ნინო ჩიქოვანმა** დღეს ოზურგეთში პალატის რეგიონული ოფისი გახსნა. ლანჩ-ხუთის შემდეგ ეს იქნება პალატის რიგით მეორე ოფისი, რომელიც გურიის რეგიონში იმუშავებს. ადგილობრივ მეწარმეებს საშუალება მიეცემათ, ადგილზე მიიღონ ის სერვისები და საკონსულტაციო მომსახურება, რასაც პალატა სთავაზობს. ოფისის დათვალიერების შემდეგ, პალატის პრეზიდენტი ადგილობრივ მეწარმეებსაც შეხვდა. ნინო ჩიქოვანმა იმ გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ მიიღო ინფორმაცია, რაც ადგილობრივ ბიზნესს აწუხებს. თავის მხრივ, პალატის პრეზიდენტმა დამსწრეებს სავაჭრო-სამრეწველო პროექტებსა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია. ასევე ხაზი გაუსვა ახალი ოფისის ამოქმედების მნიშვნელობას მეწარმეობის მხარდაჭერისა და მათი ინფორმირებულობის საქმეში. გურიაში ვიზიტისას პალატის პრეზიდენტმა ოზურგეთში მდებარე სამკერვალო საწარმო „ოზურგეთი დენიმიც“ დაათვალიერა. საწარმო 2018 წლის ზაფხულში თურქული ინვესტიციით გაიხსნა და მასში 300-მდე ადამიანია დასაქმებული. სამკერვალო საწარმო ტანსაცმელს საერთაშორისო ბრენდების დაკვეთით კერავს.

თითქმის მარადიული კითხვა: გასცემს თუ არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე დამატებით ანაზღაურებას?

„იმის შიშით, სამსახურიდან არ დაითხოვონ, საბავშვო ბაღების თანამშრომლები ამ საკითხზე პროტესტს ხმამაღლა ვერ გამოთქვამენ“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბაღების პედაგოგთა ხელფასების მომატების თემა კვლავ აქტუალურია, თუმცა, **ჯერჯერობით სკოლამდელი აღზრდის ცენტრში, გარდა შტატების გაზრდისა, სხვა ცვლილებები არ მომხდარა,**– აღნიშნავენ ბაღის პედაგოგები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი კარგა ხანია, აყენებს საბავშვო ბაღების პედაგოგებზე ხელფასების ზრდის აუცილებლობას, რადგან მათი ხელფასები ძალიან მიზერულია, ხოლო პასუხისმგებლობა – დიდი.

შარშან, 26 დეკემბერს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვის მიმდინარეობისას, ხელფასების ზრდის ინიციატივით, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისია გამოვიდა, თუმცა, მაშინ მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბიუჯეტს არ ჰქონდა საშუალება და სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებს ხელფასს ვერ მოუმატებდნენ, მაგრამ დეპუტატებს შეპირდნენ, რომ 2019 წლის მარტში, დედისა და ქალთა დღესთან დაკავშირებით, წახალისების სახით, დამატებით, ერთი თვის ანაზღაურებას გასცემდნენ.

მოგვყავს ამონარიდი საკრებულოს სხდომიდან:

კოტე შარაშენიძე, *ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:* „ჩვენ გვინდოდა, საბავშვო ბაღებში მოგვემატებინა ხელფასები, მაგრამ არ გვაქვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ხელფასის თემაზე ვიბრძოლებთ ფინანსთა სამინისტროში. ხელფასი რომ გავზარდოთ, ითხოვენ სკოლამდელი საადგილმზრდელო დაწესებულებების ავტორიზაციას, ა(ა)იპ-ებად ჩამოყალიბებას“.

ლალი სიჭინავა, *სოფელ ცხემლისხიდის მაჟო-რიტარი დეპუტატი:* „იქნებ მოხერხდეს, საბავშო ბაღების თანამშრომლებს საახალწლოდ პრემიები მიეცეთ“.

კოტე შარაშენიძე, „სარვამარტოდ მივცემთ მე-13 ხელფასს“ („ალიონი,“ №1, 2019 წ.).

4 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ იმსჯელეს.

ბიუჯეტის ზრდა 16 154 702,43 ლარითაა დაგეგმილი, მათ შორისაა საბიუჯეტო სახსრების ნაშთი და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა.

ცვლილებების პროექტი საკრებულოს წევრებს მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტოგანყოფილების უფროსმა პავლე ჭყონიამ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გია ჩაგანავამ წარმოადგინეს და დეპუტატების შეკითხვებსაც უპასუხეს.

მერიას ინიციატივით მიმართა ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველო“, რომელიც გულისხმობს: რეგიონში ცუდი დემოგრაფიულო მდგომარეობის გამო, მუნიციპალიტეტში სტატისტიკ-ური მონაცემების გაანალიზების შედეგად, **შობადობის გაზრდის წახალისების მიზნით, ყოველ ახალშობილ ბავშვზე ერთჯერადად 300–ლარიანი ერთდროული დახმარების გაცემას.** საკრებულოს წევრებმა კიდევ ერთხელ დააყენეს საკითხი ქალთა დღესასწაულებთან დაკავშირე-ბით, საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე ერთჯერადი ანაზღაურების გაცემის თაობაზე.

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასაწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი აშენდება

აშენდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

3 ამბულატორია

- დაბა ნასაკირალში
- სოფ. გურიანთაში
- სოფ. ჭანიეთში

რეაბილიტაცია ჩაუტარდება 60 ამბულატორიას

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი აშენდება.

ასევე აიგება სამი ამბულატორია: დაბა ნასაკირალში,სოფ. გურიანთაში, სოფ. ჭანიეთში.

რეაბილიტაცია ჩაუტარდება 60 ამბულატორიას.

პროექტებს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასასრულს უახლოვდება ურეკი-შეკვეთილი –გრიგოლეთის წყალმომარაგების სამუშაოები. გაფილტრული წყალი მიეწოდება დაბა ურეკის 2100 აბონენტს და კურორტის დამსვენებლებს.

ქ. ლანჩხუთში 9 ქუჩაზე მიმდინარეობს 14 კილომეტრი გამანაწილებელი ქსელისა და მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა. 500 ოჯახს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება.

წყალმომარაგების სამუშაოები მიმდინარეობს დაბა ლაითურში. აქ წყალს 3400 აბონენტი მიიღებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ქ. ოზურგეთში, ანასეულის დასახლების წყალმომარაგების რეაბილიტაციაც იგეგმება.

ქ. ოზურგეთში ცნობილი ექიმის საფლავი გაძარცვეს

ალიონი. გასულ კვირაში ქ. ოზურგეთში, „მოიდანახის“ სასაფლაოზე, ცნობილი ბავშვთა ექიმისდა საზოგადო მოღვაწის რატი ღლონტის საფლავი გაძარცვეს, – ლითონის რიკულები მოიპარეს.

პოლიციამ დამნაშავე ცხელ კვალზე დააკავა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მომხდარზე აღძრულის სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ნაღობილეველები შველას ითხოვენ

რამდენიმე სატელეფონო ზარი მივიღეთ სოფელ ნაღობილევიდან. მოსახლეობა შველას ითხოვს. საქმე ისაა, რომ ამ ბოლო დროს მომრავლებულმა უპატრონო ძაღლებმა სოფელში ქათამი არ დატოვა. დაფიქსირდა ადამიანი დაკბენის რამდენიმე შემთხვევაც:

„კარგი იქნება თუ გვესტუმრებით და საკუთარი თვალით ნახავთ, ოღონდ წინასწარ იცოდეთ, რომ ქათამს ვერ დაგიკლავთ, რადგან სიმწრით გამოზრდილი შინაური ფრინველებიდან თითქმის მთლიანად გაგვწმინდა სოფელში შემოხიზნულმა უპატრონო ძაღლებმა. იყო ადამიანის დაკბენის რამდენიმე შემთხვევაც. ოცდათხუთმეტი ფრთა ქათამი მყავდა, შვილის ქორ-წილისთვის მინდოდა, სამი ფრთაღა დამრჩა, დანარჩენი გამინადგურა ამ შეჩვენებულებმა. სანამ ვინმე მოთ-მინებიდან გამოსულა და ამ ძაღ-ლების ხოცვა-ჟლეტა დაუწყია, მანამდე იქნებ ხმა მიგვიწვდინოთ შესაბამის სამსახურამდე, ჩვენც გვიშველონ და ამ ძაღლებსაც“ – ლამის ტელეფონიდან გამოძვრა უცნობი ქალბატონი.

ოზურგეთი-ქობულეთის გზის მშენებლობაზე

გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ, ოზურგეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, მერის მოადგილესთან ოსიკო თოთიბაძესთან ერთად დაათვალიერა.

მიმდინარეობს საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის 49 -კმ 54 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოსაცდელის,წყალგამტარი მილების და სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროექტის ღირებულება ღირებულება 4 888, 888 ლარს შეადგენს და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამუშაოებს კომპანია“ ეწ ღოად”- ახორციელებს.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ SMS შეტყობინებების დამატებითი სერვისი აამოქმედა

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, აბონენტთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, SMS შეტყო-ბინებების დამატებითი სერვისი 333 აამოქმედა.

სემეკის რეგულაციის გათვალისწინებით, კომპანიის აბონენტებმა, ბილინგის მონაცემთა ბაზაში მითითებული საკონტაქტო სატელეფონო ნომრიდან შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად უნდა გააგზავნონ სმს შეტყობინება 90046 ნომერზე შემდეგი სიმბოლოების გამოყენებით:

333 სმს სიმბოლოს ტექსტის გაგზავნით, აბონენტები ერთჯერადად მიიღებენ ელექტრონულ ქვითარს დარიცხული გადასახადისა და დავალიანების შესახებ.

111 სიმბოლოს ტექსტის გაგზავნით, აბონენტი ხელახლა მიიღებს ინფორმაციას ბოლო შეტყობინების შესახებ.

თუ მომხმარებელს სურს საკონტაქტო ნომრის ან ელექტრონული ფოსტის შეცვლა, სმს ტექსტად 222 ერთად უნდა მიუთითოს ახალი ნომერი ან ელექტრონული მისამართი (**mag: 222xxxxxxxxx an 222xxx@xxxx.ge**).

აღნიშნული სმს სერვისებით სარგებლობლობა აბონენტებისთვის უფასოა.

„ვარდები, მზე და სიცოცხლე დედიკოსათვის მინდა“

ალიონი. სათაურში გამოტანილი ეს პოეტური ფრაზა ლაიტმოტივად გასდევდა ანასეულის საბავშო ბაღში (მენეჯერი – ფიქრია თავართქილაძე, პირველი ცვლის აღმზრდელი – რუსუდან რატიანი) გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

თერთმეტმა აღსაზრდელმა შეხმატკბილებულად უგალობა და იავარდები მიართვა თავიანთ დედიკოებს. ორმაგად შთამბეჭდავი ღონისძიება გახლდათ, საქმე ისაა, რომ პატარებმა, აღმზრდელებისგან დაუკითხავად, თითქმის თავიდან ბოლომდე გაიმეორეს საკონცერტო პროგრამა ობიექტური მიზეზებით დაგვიანებული დედიკოებისათვის, რასაც, რასაკვირველია, დამსახურებული აპლოდისმენტები მოჰყვა.

თითქმის მარადიული კითხვა: გასცემს თუ არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე დამატებით ანაზღაურებას?

„იმის შიშით, სამსახურიდან არ დაითხოვონ, საბავშვო ბაღების თანამშრომლები ამ საკითხზე პროტესტს ხმამაღლა ვერ გამოთქვამენ“

ლამდელი აღზრდის პედაგოგებზე დამატებითი ანაზღაურების გაცემას.

„დამატებით ველოდით 500 000 ლარს, მაგრამ მთლიანი ბიუჯეტის ხარჯები არ შეიძლება იყოს ფინა ფლის დაზუსტებულ ბიუჯეტზე მეტი. ზრდა მხოლოდ 8 პროცენტზე მეტი არ იყო, ამიტომ, 500 000 ლარის ნაცვლად, 200 000 ლარი გამოგვიყვეს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთი თვის ხელფასი 200 000 ლარია, რის გაცემის უფლება არ გვაქვს. შეს-აძლებელია 50 პროცენტის გაცემა, რასაც სააღდგომოდ თუ გავაკეთებთ“. განაცხადა **პავლე ჭყონიამ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** განაცხადა: „განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, სკოლამდელ დაწესებულებებში რეფორმაა ჩასატარებელი; ტესტირებები, რომ დავად-გინოთ პედაგოგთა კვალიფი-კაცია, უნდა მოხდეს თანამშრომლების ოპტიმიზაცია და ბაღების ავტორიზაცია. რამდენი დამხმარე თანამშრომელია ბაღებში. 30 კაცი ბაღების გაერთიანებაშია და-საქმებული. თუკი რეფორმას ჩავატარებთ, რაც ოპტიმიზაციასაც გული-სხმობს,. მეტ თანხას მივილებთ“.

„ბურია დემოგრაფიული მდგომარეობით საქართვე-ლოში ბოლო ადგილზეა. ჩვენ ვართ ყველაზე კვდომადი რეგიონი. ყოველწლიურად იკლებს ბავშვთა შობადობა. ამიტომ, სტიმულირების მიზ-ნით, თითო ახალშობილზე 300 ლარი ერთჯერადი დახმარება გაიცეს“, – წინადადება დააყენა დეპუტატმა **გელა ჩავლეიშვილმა.**

„ვერანაირად ვერ ვიზამთ ამას. ჩვენ გვაქვს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (70 000 ქულის ქვემოთ) ახალშობილთა დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში ფელს უკვე გავეცით 15 ათასი ლარი“, –უპასუხა **პავლე ჭყონიამ.**

„დაბვრჩა პროექტები მოგვარების გარეშე. ეს თქვენი ფული არ არის, ეს ხალხის ფულია“, - უთხრა მუნიციპალიტეტის მერს დეპუტატმა **მარიკა ჩხიკვიშვილმა.**

კომისიის სხდომაზე ისიც ითქვა, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში 200 000 ლარი დაემატება კვების თანხას. არაფერი თქმულა იმის შეს-ხებ, რომ ოზურგეთის საბავშვო ბაღები საპილოტე პროგრამაში მოხვდა, რაც გულისხმობს რვა მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში იდენტურ მენიუს.

აღნიშნულზე შარშან, 17 დეკემბერს, გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორმა **მაკაა ჭყონიამ** განაცხადა, რომ „პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს კონკრეტულად კვებისათვის 1 000 000 ლარი გადაეცემა („ალიონი“ №48).

„დღეს, ოზურგეთის მუნიციპალ-იტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წინადადება, საკრებულოს მორიგი სხდომის გადადების თაობაზე, ბიურომ გაითვალისწინა. ფრაქციამ სხდომის გადადების აუცილებლობა ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის დამატებითი განხილვის მიზნით ითხოვა, მაშინ, როცა ბიუჯეტში ცვლილება 16 მილიონით არის დაგეგმილი, მნიშვნელოვანია, პასუხი გაცემული იყოს ყველა იმ შენიშვნაზე, რომლებიც კომისიებმა განხილვების პროცესში მერიას წარუდგინეს. სამწუხაროდ, დეტალურად არ არის წარმოდგენილი განსახორციელებელი ღონისძიებები. ასევე საკრებულოს ინიციატივაა და **კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ საბავშვო ბაღების თანამშრომლებისთვის 8 მარტის დღესთან დაკავშირებით წახალისებისთვის გამოიძებნოს გზები**, აღნიშნულზე ინფორმაცია მხარის რწმუნებულსაც მივაწოდეთ. დემოგრაფიული მიმართულებით მუნიციპალიტეტში სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების შედეგად, შობა-დობის გაზრდის წახალისების მიზნით, ინიციატივა გავაჟღერეთ – **ყოველ ახალშობილ ბავშვზე ერთჯერადად 300- ლარიანი დახმარების გაცემის თაობაზე,** ამ კონკრეტულ წინადადებებზე განხილვების პროცესში უნდა მოვისმინოთ მერიის პოზიცია, - განაცხადა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **გელა არაშიძემ.**

საკრებულოს სხდომა 6 მარტს უნდა გამართულიყო, თუმცა დასახელებული და სხვა მიზეზების გამო, იგი 13 მარტს გაიმართება. გაზეთი „ალიონს“ ოზურგეთის ერთ-ერთი ბაღის პედაგოგი ესაუბრა დასახელებულ თემაზე:

„ძალიან დიდია ბაღების პედაგოგების და დამხმარე პერსონალის შრომა, ანაზღაურება კი – მიზერული. არავინ ფიქრობს იმას, რომ ჩვენ გვყავს ოჯახები და გაწეული შრომისათვის ანაზღაურების 50 პროცენტს მაინც უნდა ვიღებდეთ. **იმის შიშით, სამსახურიდან არ დაითხოვონ,ბაღების თანამშრომლები პროტესტს ხმამაღლა ვერ გამოთქვამენ. არადა, ყველა ამ თემაზე საუბრობს.** კარგად მახსოვს, ბაღების გაერთი-ანებაში 12 კაცი მუშაობდა, ახლა სამჯერ მეტია. ხელფასებიც კარგი აქვთ, ყოველ შემთხვევაში ბაღის პედაგოგებზე 2-3-ჯერ მეტი. კარგი, ხელფასი ვერ მოგვიმატეს, მაგრამ სარვამარტოდ დაპი-რებული ერთი თვის ანა-ზღაურება ხომ შეეძლოთ მოეცათ. ესაა დაპირება?“

„დედავ-სიცოცხლის დიდო საწყისო...“

მარი კოკოევი

ქალბატონებისთვის დღესასწაულების მოწყობა ტრადიციად აქციეს. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ წელსაც, 8 მარტს, მეორე საჯარო სკოლის დარბაზში უმასპინძლა გამორჩეულებს. დიახ, გამორჩეულებს. მათ, ვინც ოთხ და მეტ შვილს ზრდის. მათ შორის გავიცანით ია თოიძე, შემოქმედის ბაღის პედაგოგი, რომელიც 38 წლის ასაკში ექვსი შვილის დედაა. „ყველაზე დიდი 16 წლის მყავს, პატარა სამი წლის“, გვითხრა მან. ღონისძიებაზე სულ ჩვიდმეტი მრავალშვილიანი დედა იყო მიწვეული.

საღამო მუსიკალური ნომრებით გააფორმეს სტუდია „ბინულმა“ (ხელმძღვანელი თამილა ბურჭულაძე), მე-2 სკოლის დაარსებულმა მუსიკალურმა სტუდიამ „არტ ჯუნიორმა“ (ხელმძღვანელი მაია თთიბაძე) და ხალხურ საკრავთა ანსამბლა „მარულამ“(ხელმძღვანელი თამარ კვირკველია).

პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, **როზა გოგუაძე:**

–გვყავს ისეთი ადამიანები რომლებსაც უნდა მოვეფეროთ. მოფერება ყველას უნდა მაგრამ გამორჩეულია ადამიანი 5 და 6 შვილს რომ გაუჩენს ქვეყანას. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს. სწორედ მათ მივულოცეთ დედის და ქალთა დღეები. შევარჩიეთ 45 წლამდე ქალბატონები. 8 მარტს მსგავს საღამოებს წინა წლებშიც ვაწყობდით. ვაჯილდოვებდით ღვაწლმოსილებს, მრავალშვილიანებს, მათ ვინც პირველად განიცადეს დედობა. მიმდინარე თვეში საღამოს მოწყობას ვგეგმავთ დამლაგებლებისთვის.

საზეიმო საღამო პროფკავშირმა განათლების რესურსცენტრთან ერთად მოაწყო. მრავალშვილიან დედებს საჩუქრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა.

ქალთა დღეს გამორჩეული ქალბატონები დააჯილდოვეს

მარი კოკოევი

„დღეს გამორჩეული დღესასწაულია, გამორჩეულად თბილი, ნატიფი, ემოციური! არც შეიძლება სხვანაირი იყოს დღე, რომელიც ყველაზე დიდ სასწაულს დედამიწაზე-ქალს ეძღვნება“-ამ სიტყვებით დაიწყო ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფოლკლორის ცენტრში.

ღონისძიების ორგანიზატორებმა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამორჩეული ქალბატონები დააჯილდოვეს.

მასწავლებლები: **ჟანა საბაშვილი, ციური ბაბილოძე, ნათელა სურგულაძე, ხათუნა მჟავია, მარიკა თიგიშვილი, შორენა ხომერიკი, რუსუდან ბოღოშვილი, ნანი ხელაძე, ლეილა გელაშვილი ჟუჟუნა გობრონიძე, კლარა გურგენაძე, მანანა ღაჟონიამანანა კვაჭაძე, კლარა შაფაქიძე;** ექიმები: **ენძელა ქორიძე, ნადესი მალაზონია, ლალო გაგუა, ქეთევან მალაზონია**; საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომელი, **ლუიზა მამფორია**; ძალოვანი უწყების თანამშრომლები **ნატო ჯახუა, ხათუნა დობორჯგინიძე;** ინსპექტორ-გამომძიებელი **ნანა კაცაძე**; ადვოკატი, **მედეა ჯანელიძე.;** საპენსიო სამსახურის თანამშრომელი **თინა ბედინეიშვილი**, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი **ქეთევან ჩხარტიშვილი;** საჯარო მოხელე **მაია ნარსია;** არასამთავრობო სექტორი-**თათული მგელაძე.;** წარმატებული ქალი ბიზნესში: **ნაზი ჯაველიძე, ნანა გოგუაძე, ია ურუშაძე ციალა ქართველიშვილი;** კომუნალური სამსახურის თანამშრომლები: **ხათუნა გაგუა** და **გულნარა ბერიშვილი** ასევე **ნატალია ლუკაშევსკაია;** არქივის დირექტორი, **ლამზირა ინწკირველი;** დასუფ-ავების სამსახურის თანამშრომლები: **მზია ტრაპაიძე, ნატაშა მიახაილოვა;** კულტურისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ქალბატონები: ბიბლიოთეკარები, **თამარ ბილიხოძე** და **მზეო მჟავია;** მუზეუმის თანამშრომელი, **ლალი კილაძე;** კულტურის სფეროს თანამშრომლები, **პელაგია გასპარიანი,** მაია **ცომაია;** 4 შვილის დედა, **ლელა დვალიშვილი;** ასევე **მაია გელაშვილი, ნატო ყალიჩავა, ციალა ომიაძე და რუსუდან ჭელიძე;** პარასპორტში, ჯომარდობაში გამარჯვებულები, **ირმა ხომერიკი** და **თამუნა ლურსმანაშვილი,** ;მორაგბე **ქალბატონი, ანა კაპანაძე.**

საღამო მუსიკალრი და საცეკვაო ნომრებიტ იყო გაფორმებული. ღონისძიებაში მონაწილეობდა ანსამბლები :„გურია“,„რეხეული“, „მანანური“, „სამშვენისი“, „ალილუია“, კვარტეტი „დომინანტი“, სოლო შემსრულებლები რეჟო ხომერიკი და მარეხი მჟავანაძე.

ღონისძიების ბოლოს სცენაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე და საკრებულოს თავმჯდომარე, დავით დარჩია ავიდნენ. ქალბატონებს რვა მარტი მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

დავით დარჩია:–ყველა დღე რვა მარტი ყოფილიყოს თქვენთვის, ულევ სიხარულს სიყვარულს და ბენდიერებას გისურვებთ.

კონსტანტინე შარაშენიძე:–ჩვენ გვყავს გამორჩეული ქალბატონები რომლებიც უნდა დავაფასოთ. რა თქმა უნდა დღეს ყველას ვერ მოვიწვევით. აქ მყოფ ქალბატონებს გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს.

ღონისძიება ოზურგეთის მერიის მიერ იყო ორგანიზებული.

მაოცებ, თამარ!!!



თამარ ყურაშვილის წიგნი დავლანდე თუ არა, გავიფიქრე, რეცენზია უნდა გავაკეთო-მეთქი. რასაკვირველია, ჯერ კითხვას შევუდექი და ნახევარი რომ ჩავათავე, უმალ აზრი შევიცვალე – იმდენად ღრმა აღმოჩნდა, შეეშინდი, ჩემი ზედაპირული რეცენზიით არაფერი მევნო ამ სულისამაფორიაქებელი, ფილოსოფიურობას მიახლოებული გამონათებისთვის. ამიტომ გადავწყვიტე, ღია წერილით გამოვხმაურებოდი ავტორის მორიგ კრებულს, რომელშიც ყოველი სიტყვა ფრთიანია, ყოველი ფრაზა მოქნილია, ჰარმონიულია, ანუ თამარისეულია.

ისე, ძალიან, ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, თუ ვინმეს პოეტობაზე აქვს პრეტენზია, ამაზე ნაკლები პოეზია არ უნდა ჰქონდეს. ვარჩიე, ვარჩიე და ყველაზე მომცრო, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე დახუნძლული ლექსი შევარჩიე წერილში ჩასადებად:

„კლდოვანზე კვერნები მზეს გულში იკრავენ,
წიწვნარში გაატანს ცის თეთრი თითები...
თუ მოხვალ, ისევ თავს დაბრის ბოლომდე,
დიდსულოვანი მაგნოლიები“...

არ მეგონა, ანა კალანდაძის შემდეგ, მაგნოლიებით თუ ვინმე გამაკვირვებდა.

რა დიდებულია: „მზემ ფორთოხლის ბაღში ჩაწურა დაისი“. – ასეთნაირად მხოლოდ შენ შეგიძლია, დაინახო და ხუთ სიტყვაში ჩააყელყელაო დღის მიმქრობის სასწაული.

მსგავსი საოცრებების მეტი რა არის ამ წიგნში, მაგრამ ვფრთხილობ, ღია წერილის ნაცვლად, მხოლოდ შენი ნამუშევრების ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადამღერება არ გამომივიდეს. კიდევ ერთი მაინც უნდა მოვიპარო აუცილებლად:

„ძიწაზე ოდესმე რომ დავეშვა,
ფორთხვას მაინც ვერ ვისწავლი“.

მართალი ხარ, თამარ. ფორთხვა რა შენი საკადრისია, როცა რონინისა და როკვის ნიჭი გარგუნა შემოქმედმა.

რა თქმა უნდა, გავეცანი მეტყველების ნაწილებზე ლექსად შექმნილ გამოცანებს და საინრერესოდ საკითხავ შენს მინიატურულ პროზას. „ბიჭი“, „გაკირულამდე წამოგყვებით“..., „ვაშლი“, „ლილი“, „მზისა“, სპა რეზორტში“, ღიმილი“... თითქმის ყველაში შევედი და, მართალი გითხრა, კარგა ხანს არც გამოვიდოდი, შენი პოეზია რომ არ მცოდნოდა.

წინასიტყვაობაში წერ: **მოგვიანებით, როცა ჩემში პროზამ შემოიხედა და დამკვიდრების მზაობა იგრძნო, თითქოს, ლექსის წინაშე, დანაშაულის განცდა გამიჩნდა, თუმც, მისგან არსად წავსულვარ...**

უბრალოდ, ადამიანურ და ყოველდღიურ პრობლემებზე საუბარი პროზაული ქმნილებებით, მეტადაა შესაძლებელი“.

მთლად ვერ დაგეთანხმები. გემოვნებაზე არ დავობენ, მე შენი ლექსი მირჩევნია, რადგან სულითა და თხემით ტერფამდე პოეტი ხარ უპირველესად.

და ბოლოს, შენი ამ ახალი კრებულით მიღებული ემოციის გამოსახატავად, გიბრუნებ შენივე ლექსის სათაურს: „მაოცებ“, თამარ!!!

თემურ მარშანიშვილი
c000000000000000
0000000000000000000000000000
0000000000000000000000000000

1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



ალექსი ბრუსილოვი შექმნილ მდგომარეობას გაეცნო და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გურიაში ქართველ გრენადერთა პოლკის გაგზავნა საერთოდ არ იყო საჭირო. პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა **ვესლიცკიმ** პოლკის ძირითადი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნების ბრძანება მიიღო. ოზურგეთში თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტ მიხაილ ბრაიკოს დავალებით, იმყოფებოდა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი გენერალ-მაიორ **სემიონ კახანოვი,** რომელიც 1841 წლის 10 ივნისს თბილისში დაბრუნდა. თბილისში გამგზავრების წინ სემიონ კახანოვმა ბრძანა, ახალი მღელვარების თავიდან აცილების მიზნით აუცილებლობის შემთხვევაში გადასახადი თურქული ლირითაც მიეღოთ. მან ოზურგეთის მაზრის უფროსს დაავალა, რომ საფუძვლიანად გამოეკვლია აჯანყების მიზეზები. სამოქალაქო გუბერნატორმა თავად **გიორგი ნაკაშიძეს** უბრძანა, მაზრის უფროსისათვის გადაეცა იმ 12 გლეხის სია, რომელთაც აჯანყების წამოწყება ედებოდათ ბრალად. თბილისისაკენ მიმავალი სემიონ კახანოვი სოფელ **გურიანთაში** შეჩერდა, სადაც შეიტყო, რომ საჯავახოს თემში აჯანყება ჯერ არ ჩამცხრალიყო, საჯავახოელების ლაშქარი ჩოხატაურის საგუშაგოსთან ახლოს იდგა ბანაკად. მოლაპარაკების შედეგად საჯავახოელთა ლაშქარი დაიშალა და აჯანყებულები ოჯახებში დაბრუნდნენ.

აჯანყების მეორე ეტაპი (1841 წლის ივლისი – აგვისტო)

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი გენერალ-მაიორი სემიონ კახანოვი დარწმუნებული იყო, რომ აჯანყება გურიაში დასრულდა. მოულოდნელად, 1841 წლის 27 ივნისს, სოფელ **ნაგომრის** საგუშაგოდან სამოქალაქო გუბერნატორს აცნობეს: ოცდაათამდე შეიარაღებულმა გლეხმა სცადა გაეძარცვა პირველი სახაზო ბატალიონის სამი ჯარისკაცი, რომლებიც ოზურგეთში პროვიანტის მისაღებად იყვნენ გაგზავნილი. ამ ინციდენტმა კახანოვი დაარწმუნა, რომ სანამ აჯანყების მოთავენი მუუალ ტყეებს აფარებდნენ თავს, ახალი აფეთქება ყოველთვის მოსალოდნელი იყო. მეორე მხრით, სამოქალაქო გუბერნატორი ფიქრობდა, რომ ტყეში გასული აჯანყების მოთავეების დევნა მოსახლეობაში ახალ მღელვარებას გამოიწვევდა. ამიტომ იყო, რომ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორმა **გურიის რაზმის** მეთაურ პოლკოვნიკ ალექსი ბრუსილოვს უბრძანა, რაზმი მზადყოფნაში ჰყოლოდა, რათა აჯანყების კერების გაჩენა არ დაეშვა. 1841 წლის ივნისის ბოლოსათვის გურიის რაზმის შემადგენლობაში ირიცხებოდა: ქართველ გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონი, საქართველოს მეორე სახაზო ბატალიონი, საქართველოს მესამე სახაზო ბატალიონის 1 ასეული, სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული, მე-19 საარტილერიო ბრიგადის 6 მსუბუქი ზარბაზანი, სამეგრელოსა და ახალციხის მილიცია (600 მებრძოლი). პოლკოვნიკმა ბრუსილოვმა არ გაიზიარა სემიონ კახანოვის მოსაზრება და თანაც დიდ ტერიტორიაზე გაფანტულ გურიის რაზმში შემავალი სამხედრო ნაწილების სასწრაფოდ თავმოყრა შეუძლებლად მიიჩნია. ბრუსილოვი თვლიდა, რომ ჩოხატაურისა და ნაგომრის საგუშაგოებზე განლაგებული ქვეითთა 2 ასეული და კაზაკთა ოცეული, რომელთაც შეიარაღებაზე ჰქონდათ 1 ზარბაზანი, სავსებით საკმარისი იყო ტყეში გასული აჯანყების მოთავეთა შესაპყრობად. თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ ბრაიკო კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს გენერალმაიორ პაველ კოცებუს სწერდა, სემიონ კახანოვი კარგად უნდა იცნობდეს გურიაში შექმნილ ვითარებას, მისი აზრით, გურიაში ახალი მღელვარება არის მოსალოდნელი. აუცილებელია, იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომლებმაც შეიძლება ახალი აჯანყება წარმოშვასო. სამხედრო გუბერნატორი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჩრდილო კავკასიიდან ჯარების გადმოსროლა შეუძლებელი იყო, რადგან ყველა სამხედრო ნაწილი იმ რაიონების ალყითზე იდგა, სადაც შავი ჭირი მძვინვარებდა. ბრაიკო თვლიდა, კარგად გაზრებული და ფრთხილი ღონისძიებების გატარებით გურიაში ახალი აჯანყების დაწყება არ უნდა დაეშვათ. კოცებუ თავდაპირველად ბრუსილოვის დასკვნას დაეთანხმა, შემდეგ ბრაიკოს დაუჭირა მხარი, მაგრამ, როცა კახანოვს პირადად ესაუბრა, აუცილებლად მიიჩნია, გურიაში საქართველოს მესამე სახაზო ბატალიონის კიდევ ერთი ასეულის გაგზავნა. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობა ახალციხეში მყოფ მოვსეს არლუთინსკის. 1841 წლის 7 ივლისს ახალციხიდან ოზურგეთში გაიგზავნა მესამე სახაზო ბატალიონის 1 ასეული (2 ოფიცერი, 12 უმცროსი ოფიცერი, 120 ჯარისკაცი). მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა, რომ გურიაში შექმნილ ვითარებას ყველაზე ობიექტურად აფასებდა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი გენერალ-მაიორი სემიონ კახანოვი. ამ უკანასკნელის მოსაზრება, როგორც აღვნიშნეთ, არ გაიზიარა ალექსი ბრუსილოვმა, ტყეში გასული აჯანყების მოთავეები ვერ შეიპყრეს და, ამდენად, ახალი აჯანყებისაკენ მოწოდებებიც ვერ აღკვეთეს. 1841 წლის ივლისის ბოლოს გლეხების პროტესტი ნელ-ნელა ისევ აშკარა ურჩობასა და დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა. 1841 წლის ივლისის ბოლოს სოფელ **გურიანთის** გლეხებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ახალი საგადასახადო სისტემით გათვალისწინებულ ფულად გადასახადს არ გადაიხდიდნენ. გურიანთელებს მხარი ლიხაურის გლეხობამაც დაუჭირა. ორივე სოფლის გლეხები შეიკრიბნენ, სოფელსოფელ იარეს და აჯანყებისაკენ მოუწოდეს გლეხებს. გურიის მაზრის უფროსმა ჯერ გადაწყვიტა ქვეითთა ასეული გაეგზავნა აჯანყებულთა დასაშლელად, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. ამის მიზეზი ის იყო, რომ აჯანყებულებს არ ჰქონდათ დისლოკაციის ერთი ადგილი, გაუვალი გზებით ცალკეულ სოფლებში მათი დევნისთვის კი დიდი სამხედრო ძალა იყო საჭირო. მაზრის უფროსმა გადაწყვიტა თვითონ ჩასულიყო გურიანთაში და მოლაპარაკება გაემართა აჯანყებულებთან. გურიანთაში ჩასული იაცენკო შეხვდა აჯანყებულთა არჩეულ სამ ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ გლეხს და აუხსნა, რომ მათი ქმედება დასჯადი დანაშაული იყო. ამასთანავე, მაზრის უფროსი გლეხებს ჰპირდებოდა, რომ ახალი საგადასახადო სისტემით დაწესებული გადასახადი აღარ გაიზრდებოდა და გურიის მოსახლეობას არც რუსეთის ჯარში რეკრუტის წესით გაწვევა მოუწევდა. იაცენკომ აჯანყებულებს მოუწოდა ოჯახებში დაბრუნებულიყვნენ და გადასახადიც გადაეხადათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება იძულებული იქნებოდა, ჯარი გამოეყენებინა. 1841 წლის 3 აგვისტოს გლეხთა წარმომადგენლები მაზრის უფროსთან გამოცხადნენ და აცნეს: რამდენიმე მოხუცი გლეხი თანახმა იყო აჯანყება შეეწყვიტა, მაგრამ გლეხების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ფიცი დადო, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ. ცხადი გახდა, რომ გურიაში აჯანყება გრძელდებოდა. 1841 წლის 5 აგვისტოს საქართველო იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა ანდრეი კახანოვმა გურიის რაზმის მეთაურ პოლკოვნიკ ალექსი ბრუსილოვს უბრძანა, სოფელ ნაგომრის საგუშაგოდან ქვეითთა 1 ასეული 1 ზარბაზნით სოფელ ოზურგეთში გადაეყვანა.

აჯანყებულთა რიგები სწრაფად იზრდებოდა. გურიანთელებსა და ლიხაურელებს მალე შეუერთდნენ სოფლების **ჩახათისა** და **ჩოჩხათის** გლეხები. ამ სოფლების გლეხებს გადასახადი უკვე გასტუმრებული ჰქონდათ, მაგრამ მაინც შეუერთდნენ ამბოხებულებს. 1841 წლის აგვისტოში აჯანყებულ გლეხებს თანადგომა გამოუცხადა გურიის აზნაურთა დიდმა ნაწილმა, თავადების ნაწილი კი ოზურგეთში გამოცხადდა და ხელისუფლებას ალუთქვა დახმარება. მოგვიანებით პოლკოვნიკი არლუთინსკი აზნაურების აჯანყებაში ჩაბმას საშიშ მოვლენად მიიჩნევდა, რადგან მალე აზნაურები ამბოხების მოთავეთა შორის აღვახტანგ გურული მოჩნდნენ.

გურიაში აჯანყების განახლებამ უკიდურესად შეაშფოთა კა-ვკასიის მთავარსარდალი ევგენი გოლოვინი. ხელისუფლება შიშობდა, იგი არ გავრცელებულიყო სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში, ასევე ჩრდილო კავკასიაში

1841 წლის 8 აგვისტოსათვის გურიაში გენერალ-მაიორ სემიონ კახანოვის განკარგულებაში იყო საქართველოს პირველი და მეორე სახაზო ბატალიონების 700 ოფიცერი და ჯარისკაცი, აქედან 444 უშუალოდ ოზურგეთში იმყოფებოდა, ხოლო დანარჩენი გურიაშივე, სხვადასხვა საგუშაგოზე იყო განლაგებული. კახანოვმა პოლკოვნიკ ბრუსილოვს სასწრაფოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყება დაავალა. ბრუსილოვმა ვერც ამჯერად გამოიჩინა სათანადო გამჭრიახობა, მან გადაწყვიტა შეტევა გურიის შავი ზღვის სანაპიროდან დაეწყო, სადაც რუსეთის ჯარის დასახმარებლად იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მილიციას უნდა მოეყარა თავი. ბრუსილოვი გურიაში 1841 წლის 8 აგვისტოს ჩავიდა. ოზურგეთში მისი ჩასვლა დაემთხვა ამბოხებულთა მიერ აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებას. 8 აგვისტოს აჯანყებულებმა ოზურგეთიდან წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილის) სიმაგრისაკენ მიმავალ გზაზე ტყეში ჩასაფრება მოაწყვეს, ცეცხლი გაუხსნეს რუს ჯარისკაცებს, რომელთაც ურმებით ჯარისათვის პროვიანტი გადაჰქონდათ. პოლკოვნიკი ბრუსილოვი უფრო ცუდის მოლოდინში იყო, მისი განკარგულებით პროვიანტის გადამზიდი ურმების დაცვა პირველი სახაზო ბატალიონის ჯარისკაცებით გაძლიერეს, ხოლო სოფელ **ლიხაურში** გაიგზავნა მეორე სახაზო ბატალიონის ერთი ასეული პორუჩიკ **ჭილაძის** მეთაურობით. ჭილაძემ ლიხაურელებს დაშლისა და შინ დაბრუნებისაკენ მოუწოდა. შეკრებილი 100 აჯანყებულის სახელით პორუჩიკ ჭილაძეს განუცხადეს: გურიანთელებისათვის ფიცი გვაქვს მიცემული, რომ გადასახადს არ გადავიხდით და სანამ ისინი უარზე დგანან, ჩვენც არ გადავიხდით გადასახადსო.

პოლკოვნიკი ალექსი ბრუსილოვი შიშობდა, რომ აჯანყებულები ოზურგეთიდან წმ. ნიკოლოზის სიმაგრისაკენ (შეკვეთილისაკენ) მიმავალ გზას გადაკეტავდნენ. 1841 წლის 9 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ბრუსილოვი 200 ქვეითითა და 2 ზარბაზნით ოზურგეთიდან სოფელ **გოგორეთისაკენ** გაემართა. გზაში მან შეიტყო, რომ გოგორეთში ეკლესიასთან დახლოებით 300 კაცი იყო შეკრებილი, ხოლო მთლიანად სოფელში 500 აჯანყებულს მოეყარა თავი. ბრუსილოვმა ისიც შეიტყო, რომ გოგორეთში შეკრებილ აჯანყებულთა შორის ბევრი აზნაური იყო. საგანგაშო იყო ცნობა იმის შესახებ, რომ გოგორეთში ჩოჩხათიდან და ლიხაურიდან აჯანყებულთა რაზმების მოსვლას ელოდნენ, რათა ერთობლივი ძალით თავს დასხმოდნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს.

(საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918, გვ. 509-511)

ვახტანგ გურული
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №5-8

„არტჯუნიორის“ ჰარმონიები მე-2 საჯარო სკოლასა და ანასეულის ხანდაზმულთა სახლში

ალიონი. ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლასთან არსებულმა საბავშვო მუსიკალურმა სტუდია „არტჯუნიორმა“ დედის დღეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული და ორივე დაუვიწყარი კონცერტი გამართა: პირველი – თვით მეორე საჯარო სკოლაში და მეორე – ანასეულის ხანდაზმულთა სახლში.

მშობლიურ სკოლაში გამართული კონცერტის სლოგანი ასე იკითხებოდა: „ დე... ჩემო მზევ, მიყვარხარ მე შენ“.

მარტი დანავარდობდა სცენაზე. დარბაზში დედებისათვის განკუთვნილ სკამებზე ელაგა ორიგინალურად გაფორმებული მისალოცი ბარათები, რომლებმაც კონცერტის დასაწყისშივე იპოვნეს თავიათი ადრესატები – დედები. „არტჯუნიორის“ ბავშვებმა, სტუდიის ხელმძღვანელის, გამორჩეულად გემოვნებიანი მუსიკოსის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით უმღერეს დედებს, საოცარი პლასტიკით გამოხატეს მოწიწება მათ მიმართ. ვიდეორგოლის სახით იყო სიურპრიზიც, რომელშიც სასწაულად იგრძნობოდა დედაშვილობის მადლი და ძალა. სიურპრორიზი ერგო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ფატი სიორიძეს, რომელიც ეკრანზე გულაჩუყებული უცქეროდა შვილის მოლოცვას.

სკოლის სცენაზე აპლოდისმენტებით დამთავრებული კონცერტის შემდეგ, „არტჯუნიორელები“, თავიანთი საკონცერტო პროგრამითა და საჩუქრებით, საოცარ ადგილას, ანასეულის ხანდაზმულთა სახლისაკენ გაემართნენ, ტკბილ და თბილ ბებოებთან და ბაბუებთან. ბავშვებს ძალიან კარგად ჰქონდათ გათავისებული სად მიდიოდნენ სტუმრად და ვინ იყო მათი მასპინძელი. მათ ლამაზი ჰანგებითა და სიყვარულით გაუფერადეს დრე ადამიანებს, რომლებსაც აკლიათ ოჯახური სითბო.. თავის მხრივ ხანდაზმულთა სახლის ბინადართ არასოდეს დაავიწყდებათ პატარა მომღერლების სიმღერებში გაცხადებული სიყვარული.

ხანდაზმულთა სახლის ბენეფიციარი ქალბატონი: „ძალიან მომეწონა თქვენი კონცერტი, უღრმესი მადლობა ბავშვებო. დედაზე რომ იმღერეთ, ავტირდი. არ ვიცი, როგორ გამოვხატო მადლიერება. არასოდეს დამავიწყდება წლევანდელი 3 მარტი“

მაია თოთიბაძე, *„არტჯუნიორის“ ხელმძღვანელი: „ჩვენი სტუდია ღონისძიებებით განებივრებულია და ჩვენ საზოგადოებას უკვე არაერტხელ წარვუდგინეთ ჩვენი ნიჭიერი ბავშვები. დღეს ცოტა განსხვავებული ფორმატით გამოვედით. ჯერ სკოლაში დედებს გავუმართეთ კონცერტი, მერე გადავწყვიტეთ დღევანდელი დღე მიგვეძღვნა იმ უთბილესი და უტკბილესი ადამიანებისათვის, ვისაც მოხუცები ჰქვია, ვისაც ჩვენი სითბო და სიყვარული სჭირდებათ მხოლოდ. ძალიან გვინდოდა ბავშვებს ამ ადამიანებისათვის ერთხელ მიეძღვნატ კონცერტი. მე მგონი გამოგვივიდა. ემოციურად დატვირთული ვართ ყველა. შევატვე, ბავშვებს ცრემლები მოერიათ სიმღერის შესრულებისაც. აქ არაჩვეულებრივი ადამიანები არიან.*

დიდი მადლობა დახმარებისათვის ადმინისტრაციას, რომელმაც მიგვიღო და ასე თბილად დაგვხვდა.

ყველა დედას გილოცავთ დედის დღეს. ბედნიერი დედობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.“

ფატი სიორიძე, *მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი: „ჩვენი „არტჯუნიორი“ ის სტუდიაა, რომლის არსებობასაც ნებისმიერი ხელმძღვანელი ინატრებდა. ამის გამბედულად თქმის სურვილი, ყველა კონცერტის შემდეგ უფრო ძლიერ მიჩნდება. მოსწავლეებს ძალიან უყვართ სიმღერა და უკვე გემოვნებაც უყალიბდებათ. მე ვხედავ პედაგოგ მაია თოთიბაძის დაულალავ, რუტინულ, გემოვნებიან შრომას, შედეგიც აშკარაა. მჯერა, საბავშვო სტუდია „არტ-ჯუნიორი“ თავის სათქმელს მალე უფრო ხმამაღლა იტყვის.*

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მაია თოთიბაძეს იმ სიურპრიზებისათვის, რის გამოც ყველა დედა სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდა, მათ შორის მეც.“

ყველას და ყველაფერს გადააჭარბა საზეიმო კონცერტის გაგრძელებამ ანასეულის ხანდაზმულთა სახლში. 13 ბენეფიციართან სტუდიის პედაგოგი, მოსწავლეები და მშობლები წარსდგნენ სამახსოვრო საჩუქრებითა და მუსიკალური ჰანგებით.

ეს დღე, თავისი შინაარსითა და მომხიბლველობით, არასოდეს დაავიწყდებათ მშობლებს, პედაგოგებს, ბავშვებს. და ბენეფიციარებს“.

„წყლის წვეთის მოგზაურობა“ მე-4 საბავშვო ბაღში

ალიონი. „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ ის დამხმარე სახელმძღვანელოა, რომლის მიხედვითაც საბავშვო ბაღის აღმზდელები სასკოლო მზაობის ჯგუფებში წარმატებით ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს.

ლოგიკურია, რომ გასულ კვირაში, ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის (მენეჯერი - მარიკა ღლონტი, მეთოდისტი - ნაილი გრძელიძე) სასკოლო მზაობის ჯგუფში შიდა ღია აქტივობის ჩატარებისას აღმზრდელებმა ამ სახელმძღვანელოთი ისარგებლეს.

ზოგადად, ღია აქტივობა ითვალისწინებს თამაშით სწავლებასა და ამ გზით აღსაზრდელთა სასკოლოდ მომზადებას, რასაც, შესაბამისი პროგრამის გათვალისწინებითა და აღმზრდელებთან კომუნიკაციით, შესანიშნავად გაართვეს თავი აღმზრდელებმა ლია ქავთარაძემ და მარინა ინწკირველმა.

სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზანია, განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის საუკეთესო არჩევანის გაკეთებისა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი; მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლისადმი არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის; შეუქმნას მას სწავლისა და შრომის ინტერესი.

ჩატარებული ღია აქტივობა თემაზე „წყლის წვეთის მოგზაურობა“ ხელს შეუწყობს აღსაზრდელებს ენერგიისა და წყლის რესურსების დაზოგვის უნარჩვევების გამომუშავებაში.

აღმზრდელებმა ბავშვებს შეასწავლეს წყლის თვისებები. ბავშვები, ცდის საშუალებით, დაადგინდნენ წყლის გადასვლას ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში, რამაც მათ მისცა შემეცნების, დაკვირვებისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების გამოტანის შესაძლებლობა. განემარტათ, როგორ ხდება წყლის ბრუნვა ბუნებაში, რატომ წვიმს (თოვს). ჩაატარეს ექსპერიმენტები.

ამგვარი აქტივობით ბავშვები სწავლობენ დაკვირვებას, კვლევას, ცდების ჩატარებას, შედეგების განსაზღვრას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას.

დაგეგმილი აქტივობა ხელს შეუწყობს ბავშვებში შემოქმედებითად სენსორული და კოგნიტური უნარების აღქმას, ხელისა და თვალის კოორდინაციის განვითარებას. ექნებათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაეხმარონ მათ, ვისაც უჭირთ ირგვლივ არსებულ ბუნებაზე ზრუნვა.

სათემო აქცია „ჩემი მრავალფეროვანი გურია“

ალიონი. 7 მარტს ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ორგანიზებით, გაიმართა აქცია „ჩემი მრავალფეროვანი გურია“. აღნიშნული სათემო აქციის მიზანი გახლდათ განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების დაახლოება თემში და მათ შორის ჯანსაღი კომუნიკაციების ჩამოყალიბება, თემში არსებული განსხვავებული კულტურების გაცნობა და საზოგადოების გაერთიანება საერთო და, ამავე დროს, საქველმოქმედო მიზნის გარშემო.

აღნიშნული აქციის ფარგლებში დაბა ნასაკირალის, სოფლების – შრომის ლაითურის, შემოქმედის, ნაგომრისა და ხაჯალიის სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშობლებმა და პედაგოგებმა, მოსწავლეებთან ერთად, წარმოაჩინეს თემში მცხოვრები ადამიანების განსხვავებული და მრავალფეროვანი სამზარეულო, წარმოადგინეს კერძები, როგორც მათი კულტურის ნაწილი. კერძების გამოფენასა და დაგემოვნებასთან ერთად, სათემო აქციას ჰქონდა საქველმოქმედო მიზანიც. სკოლის დირექტორებმა დაასახელეს პრობლემები, რომლის გადაჭრასაც შეძლებდნენ აქციაზე შეგროვებული თანხით. სოფელ შრომის სკოლის დირექტორის **რუსუდან ცეცხლაძის** წინადადება (მოგებული თანხით წიგნებს შეუძენდა თავისი სკოლის მოსწავლეს, რომელსაც აქვს ჯანრთელობის სერიოზული პრობლემა) ისე მოეწონა ხაჯალიის სკოლის დირექტორს **ხათუნა აფხაზავას**, რომ თავის სიტყვაში განაცხადა, მოგების შემთხვევაში, ამ თანხას შრომის სკოლას დაუთმობდა. ივენთის ბოლოს შემოსულმა თანხამ 110 ლარი შეადგინა, ლატარიის პრინციპით იგი სწორედ ხაჯალიის სკოლას ერგო და, რაღა თქმა უნდა, ქალბატონმა ხათუნამ სიტყვა არ გატეხა. აქციაში მონაწილე სკოლები „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელმძღვანელმა **მარინა თოფურიამ** სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვა. მანვე, „მენაბდის მარნის“ სახელით „ბიბლუსის“ 20-ლარიანი ვაუჩერი გადასცა შემოქმედის სკოლას.

P.S. *ღონისძიების დაწყებამდე „ალიონთან“ საუბარში ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, რომ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ჯერ კიდევ 2010 წლიდან მართავს მსგავს აქციებს, თუმცა, ამ საქმეში პირველობა რატომღაც სხვამ დაიჩემა. თოფურიამ თავისი ორგანიზაციის მიერ გამოცემული ბუკლეტიც გვიჩვენა, რომელიც მა-შინდელ საქველმოქმედო აქციებს მიეძღვნა.*



ოზურგეთელმა ქეთი მამალაძემ ვერცხლის მედალი ჩამოიტანა!

3 მარტს ,მძლეოსნობის სასახლემ, 2002-2003 წელს დაბადებულთა შორის თბილისის ღია ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა. ასპარეზობაში 2005 წელს დაბადებული სპორტსმენებიც დაიშვებოდნენ.

ჩემპიონატში საქართველოს რეგიონულ გუნდებთან ერთად სომეხი სპორტსმენებიც მონაწილეიბდნენ.

შეჯიბრში წარმატებით იასპარეზა ოზურგეთელმა **ქეთი მამალაძემ.** ბადროს სტყორცნაში მან 2 საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამავე ტურნირში წარმატებით იასპარეზა **მიშიკო მახარაძემ.** მას მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში 4 სმ. დააკლდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ ტურნირზე **გიორგი დეკანოიძემ** კონკურსგარეშედ იასპარეზა და მან სამხტომში საუკეთესო შედეგი - 14მ. 58 სმ. აჩვენა.

გუნდი ასპარეზობისათვის მწვრთნელმა **მარინე კოტრიკაძემ** მოამზადა.

სულთათანა

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ რიმა ბერაძეს დედის, **ჟენიას** გარდაცვალების გამო.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. აქვს გარაჟი, ეზო 500 კვ.მ. დაგვიკავშირდით: (591) 15 57 57.

ქირავდება

ქალაქის ცენტრში (გურიის ქ. №6) კომერციული ფართი (სველი წერტილით) პირობების გასაგებად დაგვიკავშირდით: 558 34 80 90.

მილოცვა

ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები და მშობლები მარტის დღესასწაულებს ულოცავენ ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ

კლარა შაფაქიძეს.

ქალბატონო კლარა, უღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გილოცავთ დედისა და ქალთა დღესასწაულებს. მადლობას გიხდით გაწეული ამაგისათვის და გისურვებთ დიდხანს, დიდხანს გელვაწოთ ქართულ საგანმანათლებლო დარგში.

სკანვორდი



№ 9-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მელიტონ ბალანჩივაძე; პირველი პირის ნაცვალსახელი — მე; ღვიძლის ანთება — ჰეპატიტი; შეიარაღებული დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის — ომი; რიცხვი — ათი. ერთგვარი შრიფტი — ნონპარელი; ზამშე — ნატი; შევარდნაძის სოფელი — მამათი; ლაშქრობაში ნაშოვი ნადავლი — ალაფი; სიდიდით მესამე კუნძული — კალიმანტანი; ბუხრის თავი — კალამი; ნივთების ლატარიის მაგიდა — სიკინჭილა; მცირე სკამლოგინი — საკარცხული; არაბული სახელმწიფო — ყატარი; შიკრიკი — იფრინდა; აღტაცება — ოვაცია; გურიის გუბერნატორი — ნასარაია; მდინარისპირა დაბლობი — მერე; საპორტო ქალაქი ბულგარეთში — ვარნა; კავშირი — და; ო. თაქთაქიშვილის ოპერა — მუსუსი; თემი, ერი — მილეთი; მამაკაცის სახელი — ათანასე; სვანური სიმღერა — ლილეო; ძაღლის სახელი — რექსა; სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში — კოდა; ცხენის ერთგვარი სვლა — ჩორთი; პოეტური განმეორება — ალიტერაცია; გერმანელი მწერალი — აპიცი; მათემატიკური მრუდი — ქორდა; გაზაფხულის ყვავილი — ია; ბრიტანული ქვეყანა — ირლანდია; ისტორიული მხარე საქართველოში — სამურზაყანო.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ცეკვა მოკვლა-გაცოცხლება

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორია მრავალი საუკუნის წინ იწყება.არქეოლოგიური გათხრებითა და უძველესი ლიტერატურული ძეგლებით დასტურდება, რომ ქართული ქორეოგრაფიის ისტორიული წინამორბედი სამონადირეო ცეკვა, ნაყოფიერების ღმერთის– მთვარის („შუშპა“) პატივსაცებად შესრულებული რიტუალური ფერხული ყოფილა.

უძველესი ფერხულის რიტუალურ ხასიათს ატარებს თრიალეთის გათხრების დროს აღმოჩენილი ვერცხლის ფიალის გამოსახულება (ძვ.წ. II ათასწლეული)– ნიღბიან მო-ნადირეთა ფერხული, რომელიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით,სვანური ნადირობის ღვთაების-დალისადმი უნდა იყოს მიძღვნილი.სვანეთში დღემდეა შემორჩენილი:„სამონადირეო ფერხული“,„ლემჩილი“,„ბეთქილის ფერხული“ და სხვა .დროთა განმავლობაში პირველიიყო „ხორუმი“.

ბაგინეთის გათხრების დროს აღმოჩენილი ძვლის ფიგურაზე გამოსახული ქალის ფიგურა (ძვ.წ. VI ს.),მიუთითებს, რომ ნაყოფიერების ღმერთის ტაძართან იმართებოდა ქალთა რიტუალური ცეკვებიც.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებას მოჰყვა ახალი ადათ-წესების ჩამოყალიბება, რომლებიც აისახა მაგიური ხასიათის რიტუალურ ცეკვებში:„მელია-ტელეფია“,„ფერხულ-ოსხეპუე“,„ორსართულიანი ფერხული“(„ზემყრელო“, „აბარბარე“,„მირმიქელა“,და სხვა). აგრარული შინაარსის მასკარადი „ბერიკაობა“,„მფერხაობის დღე“ და სხვა. ბუნების მწარმოებელი ძალებისა და მასთან დაკავშირებული შრომითი პროცესებს ეძღვნება.

მასობრივ (მამაკაცთა და ქალთა) ცეკვებთან ერთად ძველთაგანვე არსებობდა ნაყოფიერების კულთთან დაკავშირებული წყვილთა ცეკვები. წყვილთა ცეკვის ფორმის განვითარებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა სინთეზური თეატრალური სანახაობა „სახიობა“, რომელიც წარმართობის დროის დიდი დღესასწაულების თანმხლები ელემენტი იყო. სახიობის მხატვრული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა რომანტიკული შინაარსის განსაკუთრებული დიალოგიური ფორმა, რომელიც სრულდებოდა სალექსო იმპროვიზაციაით ე.წ. ქალ-ვაჟიანით.

წმინდა საცეკვაო ელემენტების შერწყმამ ადათ-წესებისა და თამაშობების რიტუალებთან განაპირობა, ისეთი ცეკვების შექმნა, როგორიცაა:„ქართული“, „განდაგანა“„ფერხული-ორსართულა“,„სამაია“,„ხანჯლური“,„მთიულური-დავლური“ და სხვა.სპეციალისტების აზრით ეს ცეკვები თავისებური „აღმოჩენა“ იყო ქართულ ქორეოგრაფიაში.

ჩვენს დრომდე მოღწეულ რომანტიკული ხასიათის წყვილთა ცეკვებიდან უძველესია ქართული, ამ ცეკვას ქართული,რომელსაც ქორეოგრაფიის მწვერვალად თვლიან. ძველად მას „სადარბაზო“(სამეფო კარზე, ყოველთვის, იცეკცებოდა ქალ-ვაჟთა შესრულებით,) „სანადიმო“, „საარშიყო“, „დავლური,“ „ლეკური“.ქართული ცეკვა-სადარბაზო სატრფიალო, საარშიყო, ქალ-ვაჟთა უძველესი, რომანტიკული შინაარსის წყვილური ცეკვაა.

ქართული საცეკვაო ფოლკლორიდან, ერთ-ერთი უძველესი ცეკვა „ჟისალგა“ („განდაგანა“), რომელსაც ასრულებდა გურიის ეთნოგრაფიული გუნდი ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვანელობით.

რაც შეეხება გურიას, *„გურულს ბევრნაირი დღესასწაული:ხატობა და სხვადასხვა რიტუალი აქვს* –წერს **აპოლონ წულაძე** – *და მაშასადამე მრავალი მიზეზი აქვს გაერთოს, ისიამოვნოს, ჯარში გაერიოს,თავი ისახელოს, მასზე სხვები აალაპარაკოს, განსაკუთრებით ეს მას ეხერხება აღდგომის დღეებში.ამ დროს იგი ყველაფერში პირველია და ყველაფერი ეხერხება:ცეკვა სიმღერა გალობა, მოლხენა, ღვინისსმა, ენამზეობა, გადახტომა გადმოხტომა, თამა-შობა, სირბილი, ჩონგურის დაკვრა დაღინება, ლამაზების გულის აფორიაქება და სხვა. აღდგომის დღეებში ხალხი ერთობა, ერთ მანეთს ეჯიბრება,ერთი სიტყვით, რაღაც ხალხური ოლიმპიადის მაგვარი სანახაობა იმართება. აი, სწორედ ასეთ დროს გურულები... თავს იქცევდნენ სხვადასხვაგვარი ცეკვით და სიმღერით,ცეკვის დროს უკრავდნენ ხან ერთად,ხანაც ცალ-ცალკე“.*

აპოლონ წულაძე გურული საცეკვავო ფოლკლორიდან აღდგომის დღეებთან დაკავშირებით სულ 6 ცეკვას აღწერს, ესენია: **„ფარცაკუკუ“, „კალმახური“, „ფოთლით ცეკვა“, „მოკვლა-გაცოცხლება“, „მიმიკით ცეკვა“** და **„ფერხული“**. გურული საცეკვაო ფოლკლორიდან მკით-ხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ზემოთ დასახელებულ ერთ-ერთ უძველეს ცეკვაზე -„მოკვლა-გაცოცხლება“ რომელიც ჩემთვის ცნობილი გახდა, მას შემდეგ, რაც წავიკითხე ბატონ **ქველი ჩხატარაიშვილის** „გურიის ეთნოგრაფიული გუნდი ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვანელობით“.ეს გახლავთ პრუსიის სამეფოს პრინცის **ალბრეხტ ჰოჰცოლერნის** თვალით დანახული გურია, რომელიც გურიაში მოგზაურობდა 1862 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თავისი ამალითა და რუსი მოხელეებისა და კაზაკთა რაზმის თანხლებით. 1865 წელს მან ბერლინში გამოსცა ამ მოგზაურობის აღწერა. პრინცი აღწერს მარნიდან (სამტრედია) გორას რეზიდენციაში სტუმრობას,შემდეგ თავადი დიმიტრი გურიელის შეხვედრას ტყიან ადგილას ბრწყინვალედ გამოწყობილი 100-მდე მილიციონერით, ეს ნასაკირალის გადასავლელი უნდა იყოს და საერთოდ წარმოგვიდგენს ჩვენი მხარის ძველი ყოფის იშვიათ და მეტად საინტერესო სურათებს.რის შესახებაც მე მკითხველისათვის არაერთხელ მიმიწოდებია მასალები ამ სტატიიდან.ახლა მხოლოდ ერთ ფაქტს შევეხები.ეს გახლავთ ცეკვა, რომელიც აჩვენეს სტუმრებს:*„რაც პრუსიელებს კავკასიაში ენახათ,ყველაფრისაგან განსხვავებული იყო გურულების სიმღერა, ცეკვა და იარაღით ვარჯიში, რაც სტუმრებს, დიმიტრი გურიელის მილიციონერებმა აჩვენეს. გურულების განსხვავებული ხასიათი განსაკუთრებით გამოჩნდა ერთ ცეკვაში,რომელიც იარაღით სრულდებოდა. ცეკვა ასეთი შინაარსისა ყოფილა: მოცეკვავე ებრძოდა მტერს (მეოე მოცეკ-ვავეს), მიწაზე ანარცხებდა მას და კლავდა, ამის შემდეგ იწყებოდა, ცეკვის მეორე ნაწილი: გამარჯვებული ცეკვით გამოხატავდა დაღუპუ-ლისადმი დიდ თანაგრძნობას და პანტომიმით აჩვენებდა ამის შესა-ბამის ძლიერ განცდას და შემდეგ დიდი სინაზით ეხვევოდა მი-წაზე მწოლარეს, ჰკოცნიდა მას და, ცდილობდა მის მოცოცხლებას, სულის ჩადგმას და მისი მოკვლის გამო,უდიდეს სინანულს გამოხატავდა. ყოველივე ეს სანახავად ძალიან ტრაგიკული იყო.ამის შემდეგ,მოკლულზე თითქოს მოქმედებდა მისი მკვლელის მოფერება და სინანული. იგი ნელ-ნელა ცოცხლდებოდა,რასაც მაყურებელთა და ამ სანახაობის მონა წილეთა დიდი საერთო სიხარული მოსდევდა.ეს ცეკვა დამახასიათებელია, გურულების ბუნებისათვისო-აღნიშნავს პრინცი“.*

ბატონი ქველი ჩხატარაიშვილი განაგრძობს თხრობას:*„ეს ცეკვა დღეს ალბათ აღარავის ახსოვს, საჭიროა გავიკითხოთ იქნებ სადმე შემორჩა მისი მცოდნე ან მახსოვარი იქნებ მოხერხდეს მისი აღდენა“.*

მოგვიანებით შევეხე ამ საკითხს, დახმარება ვთხოვე წოდებით „ხელოვნების ქურუმს“ ცნობილ ქორეოგრაფს ბატონ **ვაჟა ახვლედიანს**,რომელმაც მითხრა ცეკვის სახელწოდება და სათანადო ლიტერატურაც მომიტანა.ზემოთ არნიშნული ყოფილა ძველი გურული ცეკვა „მოკვლა-გაცოცხლება“. ბატონი ვაჟა აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მე ცეკვა დავიწყე მაშინ ეს ცეკვა არ სრულდებოდა.ჩემს შეკითხვაზე შეიძლება თუ არა აღნიშნული ცეკვის აღდგენა, მიპასუხა: რათქმა უნდა შეიძლება, ეს ადვილი აღსადგენია. ორი სოლისტ ვაჟი ასრულებს მას.

რეზო ჭანიშვილის წიგნში „წერილები ქორეოგრაფიაზე“ ვკითხულობთ: **„სიცოცხლის, მარადიულობის, სიკვდილის, წარმავლობის, მისი დამარცხების იდეაა გაცხადებული ცეკვაში „მოკვლა-გაცოცხლება“,იგი წყვილთაა ცეკვაა ,ორი ვაჟი საცეკვაო პანტომიმის წესების სრული დაცვით მოძრაობს, შემდეგ ერთმანეთზე მიიწევენ და ერთი კლავს მეორეს,წააქცევს, გულზე ხელს „დაუკრეფს“ და მერე ირგვლივ ცეკვით უვლის.ამ დროს მიუახლოვდება და ამოწმებს მართლა მკვდარია თუ არა„როდესაც დარწმუნდება,რომ ეს ასეა, მაშინ თავთან „საკურთხსაც“ უდგამს,გარს უვლის,ხანჯალს ამოიღებს და შეულოცავს, მერე ამგვარად შელო-ცვილ ხანჯალს „მიცვალებულს“ სცემს სიბრტყით,ეს უკანასკნელი ცოცხლდება, ზეწამოიჭრება, მომღიმარი, გახარებული ჭაბუკები ცეკვას აგრძელებენ.“**

როგორც ეტყობა ცეკვას „მოკალი-გააცოცხლ“ გურულ საცეკვაო ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი ეკავა, თორემ თავადი გურიელის კარზე საპატიო სტუმრებს ამ ცეკვას არ უჩვებდნენ.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

გავაუმჯობესოთ მეფუტკრეობის საკვები ბაზა

მეფუტკრეობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე და საყურადღებო დარგია. უფლის მიერ ნაბოძები ეს პატარა მწერი უხსოვარი დროიდან განუყრელად უკავშირდება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის კულტურულ საქმიანობას.

მეფუტკრეობის რენტაბელობის ძირითადი საფუძველია მდიდარი და მრავალფეროვანი საკვები ბაზა. საკვებ ბაზაში იგულისხმება ველურ და კულტურულ ყვავილოვანთა წარმომადგენლები.

მიუხედავად თაფლოვანი მცენარეების სახეობრივი სიმდიდრისა, უმრავლესობა ისე არის გაფანტული, რომ მათი საწარმოო მნიშვნელობა დაბალია, რაც ასევე გამოწვეულიარელიეფური მრავალფეროვნებით მეტად ცვალებადი კლიმატური პირობების თავისებურებებით. მიტომ აუცილებელია ღალიანობის გეგმიური მართვა და უღალო პერიოდების შევსება. საკითხი დგას საკვები ბაზის რაც-იონალურ გამოყენებასა და მის გამრავლებაზე. უნდა მოგვარდეს ფუტკრის ოჯახების მთაბარობის კულტურა და მარშრუტები. მთაბარობა სტიქიურ ხასიათს ატარებს, რასაც უარყოფითი შედეგები მოაქვს. ადგილი აქვს ცალკეული რაიონებისა და მიკროზონების გადატვირთვას. ზოგი მეფუტკრე არ იცავს მთაბარობის გარკვეულ წესს, ქმნის გაუგებრობას, კარგად არ იცნობს ადგილს, ზონებს. ადგილები ზოგან ძალზე გადატვირთულია, ზოგან კი – აუთვისებელი.

ცნობილია, რომ საკვები ბაზის მაქსიმალურად ათვისებისათვის ერთი წერტილის დატვირთვა 100 ფუტკრის ოჯახს არ უნდა აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში 1000 და 2000 ოჯახსაც კი შეადგენს. რა თქმა უნდა, საფუტკრეების ასეთი განლაგებით უპირველესად ხელშემწყობი პირობები იქმნება ფუტკრის დაავადების გავრცელებისათვის.

სამწუხაროდ, იყო ასეთი ფაქტი: ერთმა პირმა, რომელსაც მეფუტკრეს ვერ ვუწოდებ, საკუთარი საფუტკრიდან შეარჩია დაავადებული და საეჭვო ფუტკრის ოჯახები და გადაიყვანა მეორე რაიონში, ახლობლის ოჯახში.

გარდა ამისა, გადატვირთული ბაზის შემთხვევაში საფუტკრე მეურნეობა არარენტაბელურია.

მართალია, გურიაში გვაქვს ტყეები, მაგრამ საკმაოდ ბევრია გამოუყენებელი აუთვისებელი მიწები, ეროზირებული ფართობები, სანაპიროები და გზისპირები, დაცვითი ტყის ზოლები და სხვა ფართობები. ამისათვის მეფუტკრეებმა არ უნდა დაზოგონ დრო და ენერგია, უნდა დავიცვათ არსებული საკვები ბაზა, მოვაწყოთ სანერგეები, დავრგოთ და გავაშენოთ თაფლოვანი მცენარეები – ბუჩქნარები, წაბლი, ცაცხვი, აკაცია, კამფეტის ხე... ეს უკანასკნელი უნიკალურია იმით, რომ ყვავილობს უღალო პერიოდში და დიდი რაოდენობით გამოყოფს ნექტარს. ამ დროს ნამდვილი ზეიმი აქვთ ფუტკრებს. ასევე უღალობის პერიოდში ყვავილობს იაპონური სოფორა.

აქვე მინდა აღვნიშნო ის პიროვნებები რომლებიც აშენებდნენ და აშენებენ თაფლოვან მცებარეებს: თხინვალელი ვეტერანი მეფუტკრე, ბატონი **ვალოდი კვაჭანტირაძე,** რომელიც წლების მანძილზე ემსახურება ამ კეთილშობილ დარგს. ეს პროფესია შეასწავლა ოჯახის წევრებს – შვილებსა და შვილიშვილებს, ასევე ამ დარგით დაინტერესებულ ახალგაზრდებს; ახალგაზრდა მეფუტკრეები **თემურ ვასაძე** და **გოჩა ჭეიშვილი,** რომლებსაც ასობით ძირი თაფლოვანი მცენარეები აქვთ გაშენებული.

გაზაფხული მოდის. იმედია, ჩვენი მეფუტკრეები თავიანთ წვლილს შეიტანენ მეფუტკრეობის საკვები ბაზის შემდგომ განვითარებაში. წარმატებებს ვუსუვებ მათ!

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის
თავმჯდომარე.

სპექტაკლი ყველასათვის ანუ ადამიანებო, იპოვეთ ვარდები ერთმანეთისათვის

ანტუან დე სანტ ეგზიუპერის უკვდავი მოთხრობა „პატარა უფლისწული“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე რეჟისორმა **მამუკა ბაბილოძემ** გააცოცხლა. მოთხრობის სცენური ვერსია რეჟისორს ეკუთვნის. მან საინტერესოდ მიიტანა მაყურებლამდე „პატარა უფლისწულის“ მთავარი სათქმელი სიყვარულისა და თანადგომის შესახებ, ცნობილი ნაწარმოების სულ სხვა, გამორჩეულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ეს არის სპექტაკლი დიდებისა და პატარებისათვის, იმის მოლოდინით, რომ გაცრუვდება ფრაზა: „დიდები მაინც ვერაფერს გაიგებენ“, მოლოდინით, რომ დიდები ყოველდღიურ რუტინაში არ ჩაკარგავენ სიცოცხლის სიყვარულს, სილამაზით აღფრთოვანებისა და თანადგომის უნარს და კიდევ ბევრ რამეს, რითაც ცხოვრება მშვენიერია, რაციონალიზმს ცოტაოდენი რომანტიკითაც გააზავებენ.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატის, ბატონო ვასო ჩიგოგიძის სიტყვებით ეს სპექტაკლი მიმზიდველია ჩვენი მაყურებლისათვის:

ვასო ჩიგოგიძე: „ - ეს სპექტაკლი არის დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც. რეჟისორ მამუკა ბაბილოძის მეოთხე პრემიერაა. მან ოზურგეთის თეატრში უკვე არაერთი საინტერესო და ექსპერიმენტული პროექტი განახორციელა.

აქვე შედგა ორი დებიუტი: ჩვენი თეატრის მსახიობმა **გიორგი ფუტკარაძემ** შეასრულა თავისი პირველი როლი პროფესიული თეატრის სცენაზე და მხატვარისათვის **ეკა ოსტროვსკისათვის** ეს პირველი სცენოგრაფიაა. ვულოცავ ორივე დებიუტანტს.

ეს სპექტაკლი გურიანთის სცენაზე ჩვენი მეთხუტმეტე პრემიერაა ორი წლის მანძილზე. თეატრი მუშაობს, ფორმაშია და სამომავლო გეგმებიც შემოქმედებითადაა დატვირთული“.

მამუკა ბაბილოძე, რეჟისორი: „ - კმაყოფილი ვარ მსახიობების შესრულებით, კარგად მიიტანეს მაყურებლამდე მთავარი სათქმელი. სპექტაკლის მთავარი გმირი ეძებს მეგობარს, რომლითაც შეივსებს მარტოობით გამოწვეულ სიცარიელეს, საამისოდ ადამიანებს ბევრი საშუალება აქვთ, მაგრამ მათ გულით ხედვა უნდა ისწავლონ. სწორედ ეს თემა გაყვება ლაიტმოტივად მთელ სპექტაკლს - დასძინა რეჟისორმა.

მთავარ როლებს ასრულებენ: *გიორგი დოლიძე, გიორგი ჩავლეიშვილი, ანი გოდერძიშვილი, გენადი ნიკოლაიშვილი, გიორგი ფუტკარაძე, კობა ახალაძე და ლევან საღინაძე*

ლია კილაძე

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი გუნდური პირველი ადგილით დაასრულა!

სერბულ ნოვი სადში სრული ტრიუმფით დასრულა 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა. ჩვენმა ბიჭებმა 10 წონიდან 5 ოქროს მედალი მოიპოვეს, რასაც თითო ვერცხლი-ბრინჯაო მიამატეს და გუნდური პირველი ადგილი დიდი უპირატესობით მოიპოვეს.

63 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი ოზურგეთელი **ლევან ქავჟარაძე** გახდა. მერვედფინალში ლევანმა ბულგარელ ნიკოლას პეტროვ სულევს 8-0 სძლია, მეოთხედფინალში კი ამავე ანგარიშით პოლონელი ცეზარი ბარტოშ ნოვაკი დაამარცხა, ნახევარფინალში ქავჟარაძემ უნგრელ ერიკ ტორბას 7-2 სძლია. ფინალში ჩვენი მეტოქე სომეხი სლავიკ გალსტიანი იყო, რომელთანაც გამართული ფინალი ძალიან დაძაბული აღმოჩნდა და საბოლოოდ ლევანის გამარჯვებით 10-8 დასრულდა.

ლევან ქავჟარაძის პირველი მწვრთნელი წლების განმავლობაში აწ. გარდაცვლილი **ალიკა ბოლქვაძე** იყო. მისი ამჟამინდელი მწვრთნელი **ბექა როყვა.**

55 კგ. წონით კატეგორიაში **ნუგზარ წურწუმიამ** მთავარი ფავორიტის სახელი გაამართლამან ფინალში კი რუმინელი ფლორინ ტიტა დიდი უპირატესობით 9-0 დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა.

ასევე ჩემპიონები გახდნენ: **რამაზ ზოსიძე** (72 კგ).**გურამ ხეცურიანი** (87კგ), **ზვიად პატარიძე** (130 კგ.).

ვერცხლის მედალი აიღო **გიორგი** მელიამ (97 კგ.), ბრინჯაოს – **ბექა მამუკელაშვილმა** (77 კგ.)

მეორე ოზურგეთელი–ბექა ძიმისტარაშვილი მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დამარცხდა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 178 ქულა მოაგროვა, მეორე რუსეთი (167) იყო, მესამე კი – თურქეთი (141).

აქ დედებს ყველაზე თბილად ეფერებიან

შესრულდება თუ არა ციური ბაბილოძის საშინაო დავალება?

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლაში დედებს ყველაზე უკეთ და თბილად ეფერებიან. ამის თქმის საბაბს მაძლევს აქ 3 მარტს დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ უცვლელი წამყვანი, დამსახურებული და დაუღალავი პედაგოგი ციური ბაბილოძე.

ცოცხალი ყვავილებით საგულდაგულოდ მორთულ დარბაზში ღონისძიების მონაწილე ბავშვები და მასწავლებლები განსაკუთრებული რუდუნებით მოესიყვარულენ სკოლაში მოღვაწე მრავალშვილიან დედებს: ანი სიხარულიძეს – ხუთი შვილის დედას, რომელთაგან უფროსი, სახელად ეკა, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ქასტინგის გამარჯვებულია და უკვე მონაწილეობს გადაღებებში; ფატი შაქარაძეს – ასევე ხუთი შვილის დედას; იამზე კენჭოშვილს – ოთხი შვილის დედას; ნატო ცერცვაძეს - სამი შვილის დედას; ნანული ჭანტურიძეს – სამი შვილის დედას; დალი ტერმაკოზაშვილს – სამი შვილის დედას; მზია ღლონტს – სამი შვილის დედას.

მერიის საჯარო სკოლის ღონისძიებაზე პირველად არ ვყოფილვარ, ადრეც მინახავს აქაური მოსწავლეების საშემსრულებლო მანერები – იმპროვიზაცია, გარდასახვა, გრაციულობა, საოცარი პლასტიკა, მეტველების მაღალი კულტურა და ასე შემდეგ, მაგრამ რაც დედის დღეს ჩვენს თვალწინ მარიამ ყალიჩავამ, ელიზა გობრონიძემ, ქეთი გაგუამ, ნატა ჯოგლიძემ, ნუცა სურგულაძემ, ანა ცეცხლაძემ, ანდრია ცერცვაძემ, ლაზარე კვაჭანტირაძემ, სიდონია კვაჭანტირაძემ დაატრიალეს, ამას, ჩემი აზრით, ნატურალური სიყვარული ჰქვია, რომელსაც ხელოვნურობისა არა სცხია რა. ლექსები თქვეს, – ინგლისური თუ ქართული, – ცამდე აიყვანეს დედები, იმღერეს და – ჰარმონიის ზღვაში შეაცურეს ქალი, როგორც ფენომენი.

კლასიკურ და ეროვნულ ცეკვებში ორიგინალობა, სისადავე და ანდამატური ხიბლი ჩააქსოვეს ნინო ხონელიამ, ანანო ქავჟარაძემ და ანანო თაყაიშვილმა.

სახელდახელოდ გამართულ ინსცენირებებში, თავიანთი სცენურობით, ლამის პროფესიონალ მსახიობებს გაუტოლდნენ ჟანა ხახუტაშვილი, ლუკა ჟღერია და გუგა მუჯირი.

შოთა ნიშნიანიძის შედევრული ლექსი შეუდარებლად წაიკითხა პედაგოგმა თამილა ღლონტმა.

მოკლედ, გარეთ გამოსვლა არ მოგინდებოდათ, ისეთი თბილი და ნათელი იყო მარტის მზით სავსე დარბაზი.

დასასრულს, ქალბატონმა ციური ბაბილოძემ საშინაო დავალება მისცა ღონისძიების მონაწილე სხვა დედებს – შვილთა სიმრავლით მიბაძონ ანი სიხარულიძეს, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ხუთი შვილის დედაა და ინგლისურ ენას ასწავლის მერიის საჯარო სკოლაში, თუ როგორ – ეს ამ ღონისძიებაზეც წარმოჩინდა.

შესრულდება თუ არა ციური ბაბილოძის საშინაო დავალება?

ვიცი, რომ როგორც დავალების მიმცემი, ისე დავალების მიმღებნი პირიანი ხალხია და უნდა შესრულდეს.

შვილთა სიმრავლეს და ბედნიერებას გისურვებთ, მერიელო ქალბატონებო!

თემურ მარშანიშვილი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 მარტი, ორშაბათი	12 მარტი, სამშაბათი	13 მარტი, ოთხშაბათი	14 მარტი, ხუთშაბათი	15 მარტი, პარასკევი	16 მარტი, შაბათი	17 მარტი, კვირა
მზე, ღრუბელი +7+14	მზე, ღრუბელი +9+18	მზე, ღრუბელი +2+11	მზე, ღრუბელი +2+10	ღრუბელი, +8+14	მზე, ღრუბელი, +8+14	მცირე წვიმა, +6+13